# როგორ შეუძლია ფემიციდის მსხვერპლის არასრულწლოვან შვილს სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღება





USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

უფლებები
საქართველო
Rights Georgia

# სახელმწიფო კომპენსაციის

# მიღების უფლება

კომპენსაციის მიზანია, **დახმარება გაუწიოს** გენდერული ნიშნით ან ოჯახში ძალადობის შედეგად **გარდაცვლილი ქალის არასრულწლოვან შვილს** ან შვილებს.

---

მსხვერპლის შვილს აქვს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია როგორც **არასრულწლოვანების პერიოდში**, ისე **სრულწლოვანების მიღწევიდან** 3 წლის განმავლობაში;

კომპენსაცია შეადგენს **10 000 ლარს,** რომელიც **გაიცემა ერთჯერადად**;

ერთზე მეტი შვილის შემთხვევაში, საკომპენსაციო თანხა - **10 000 ლარი - განაწილდება შვილებს შორის პროპორციულად**.

# სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის წესი

აუცილებელია, რომ **მსხვერპლის მიმართ დანაშაულის ჩადენა დადასტურებული იყოს** სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით;

**მსხვერპლის შვილს** ან/და მის წარმომადგენელს **შეუძლია** კომპენსაციის მისაღებად **პირდაპირ მიმართოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს;**

სახელმწიფო **კომპენსაცია არ გაიცემა** მსხვერპლის შვილზე, თუ შვილის მიერ ჩადენილ დანაშაულს მოჰყვა მსხვერპლის გარდაცვალება;

**თუ შვილიც იმავე საქმეზე გახდა ძალადობის მსხვერპლი, რაც დედა, შვილს კომპენსაციის მიღება შეუძლია ერთხელ:** ან როგორც ძალადობის მსხვერპლს, ან როგორც გარდაცვლილი მსხვერპლის შვილს, თავისივე არჩევანის შესაბამისად.

# სახელმწიფო კომპენსაციის
# გაცემის წესს არეგულირებს

**საქართველოს მთავრობის**

2022 წლის 9 ნოემბრის
№523 დადგენილება

# ძალადობის მსხვერპლთა
# უფასო სამართლებრივი დახმარება

უფლებები საქართველო
Rights Georgia

**577 541 655**